



# ნეკაღული



ს უ მ ა რ ე ბ ი რ ე ბ ი  
მ ც ი რ ე ბ ი რ ე ბ ი რ ე ბ ი

აგვისტო 15, 16. 1917 წ.



# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ବେଳୁବେଳୁ ୩୦-XIII No No 15, 16. ଅକ୍ଟୋବ୍ରେମ୍ ୧୯୧୭୪.

~~243~~ F-5818



၁၂၁

ଶବ୍ଦାଳିତିକା

I—କ୍ଷେତ୍ରବିଜ୍ଞାନ,—ବ୍ୟକ୍ତିଗତି .....	1
II—ମେହିରପାତାଳର ଗମନିକାଲେଖକା,—ଲ୍ୟେକ୍‌ସି ଏ. ଏଲିମେନ୍ଟ୍‌ରେଙ୍କଲୋଇସା .....	3
III—ଶିଳାବିଜ୍ଞାନ ଗମନିକା,—ଡ. ଫେଲିପେନ୍‌ସିନ୍ହା .....	5
IV—ନିର୍ମାଣକାରୀ ପାତାଳ ଗମନିକାଲେଖକା,—ଡାକ୍ତର କାର୍ଲ ମାର୍କ୍‌ହାରିନ୍ସି .....	9
V—କୁଳାଳ-କୁଳା ଏରାକ୍ଷେତ୍ରକା—ଶ୍ରେଷ୍ଠାପତ୍ରବିନ୍ଦୁରେ, ପାତାଳ ଗମନିକା .....	25
ଶବ୍ଦାଳିତିକା ଲେଖକଙ୍କାରୀଙ୍କର ପରିଚୟ .....	30
	32



## მერცხლის გამზადება

მეგობარო, წამო ჩქარა,  
წამო ჩქარა ცაშია;  
კინაფარდოთ წარა-მარა  
მინდვრათა და მთაშია.

სომა სედავ, გენაცვალე,  
გენაცვალე, ძაძია,  
რომ ზაფხული იპარება  
და აწ ბოლო წამია.

სეალ კმორდებით სამშობლოსა,  
სამშობლოსა კტოვებთ ჩვენ,  
ძაძ კილასინოთ ბოლო დროსა,  
მო, ჩავკიდოთ სელი-ხელ.


ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, წი, წი, წი, წი,  
წია, წია, მსარეო;  
უშენობით დავიწვი,—  
ცრემლი მომდის მწარეო.

ମାଗରଥ କ୍ଷେତ୍ରର ଫିଲେଟ ମାନିଛୁ,  
ମାନିଛୁ ପାହଦଳର ପାହନ;  
ପାହଦଳ ପାହିବିଲାଙ୍କ ହେବ ଏହି ପାହ,  
ପାହଦଳ ମନ୍ଦିରରଙ୍ଗ ତଥାଲିବାର.

ମେଘବଦରର, ହିମର ହିମର,  
ହିମର ହିମର ପାଦିବ;  
ପାନଦ୍ଵାରରଦରର ହିମରାମର  
ମନଦ୍ଵାରର ଧା ପାଦିବ!

କିମଦି କ୍ଷେତ୍ରର, ପାହଦଳ, ପାହଦଳ,  
ପାହଦଳ ମାମିବ,  
ରାମ ହାତଶ୍ଵରର ରାମରାମ  
ଧା ଧା ପାଦିବ ହିମରା.

ଡ. ପ୍ରଣାମିଶ୍ର





## ზღაპრის გმირი



ჲ, ნუ იტირებ, გენაცვა, და ზღაპრის გეტშები.  
შენ ხომ ზღაპრები გიუყარს. ერთსაც გიაშბობ;  
ისეთს კარგს, ისეთს, რო...

უთხრა დამ თავის მაძიელს, პატარა სანდურას, რომელიც დედის მოლოდინში ცრემლებით იმდუღლებოდა.

— აბა, რაზე გინდა გიაშბო? ქურდაბაცაცა მელიკოზე, თუ ტურიკოზე? მელიკოზე სჯობია, ხომ? მაშ, აბა, უკრი და მიგდე...

— ტულიკო მინდა, ციკაკა, ტულიკო...

— მე კი მელიკო მინჩევნია... გრძელებუდა.... ქურდაბაცა ცას აშბავი...

მუხლზე შეისვა. სანდორმ ცრემლები მოიწმინდა.

— ჭო და მელიკია და მწევრჩიტას ამბავს გეტშევი. ეს ისეთი ლამაზი ჩიტი იქო, იმისთანა, იმისთანა რო... ჭო და ერთ სეზე ბუდე გაიკეთა. სამი გმირცხი დასდო და სამი ბარტკი გამოსჩევა. იცი, როგორ უხაროდა მწევრჩიტას პატია ბარტ-

ეების დაზრდა? უმ, აბა როგორ გითხრა! ისე ძიელ, ისე ძიელ, როგორც მე და შენ—დედიკოს... მწევრჩიტა სისარულით ცასა სწოდებოდა. მოჰქონდა კაკიები, თაფლი, ლამაზი კალიები. ოქროს ნისკარტით აწოდებდა და სულ ნხნას უგალობდა, რომ ბარტექებს კარგად დასძინებოდათ და ლამაზად დაფრთიას ნებულიუგნენ.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა დედისა და შვილების ბედნიერება. როცა ბარტექები დაფრთიანდნენ, ერთმა წეეულმა მელიკომ მიაგნო ბუდეს. შიმშილით კბილები უკაწყაწებდა. აიხედა მაღლა და მწევრჩიტას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორბო!

— რაო, ბატონო მელათ?

ებ ბარტექები გადმომიგდე, თორექ ცუდს დღეს დაგუექნებ:

ცულს მოვიტან ცუნცულასა,  
ხელფნოს და წალდუნასა,  
სესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,  
შენც შეგვაძ და შენ შვილსაცა...

შეშინდა მწევრჩიტა, მაგრამ შვილები მაინც არ დაბნება. მაშინ მელია გაიქცა შინ, გალესა აცული, ზურგზე ხელებო და წალდუნა აიკიდა და მართლა ხე ძიგ ძირში მოსჭრა.

— მელე?

იყითხა თვალებ დაჯეტილმა სანდრომ.

— მერე და რა მერე: აიღო იმ წეეულმა და ბარტექები სულ გადასანხლა...

დამ ზღაპრი გაათავა. სანდოო კი მოიღოუბლა. ცრუჭელი და ლები აწებოდა. დელებ დაიწეო. თითქოს რაღაცა აწეუ ხებდა.

— მელე ლა იქნა ო მწევლჩიტა?

დაიძ მიუხვდა გულის ჰასუსს, რომ ძამიკო უკმაყოფილო იქო ზღაპრის ბოლოთი.

— მერე და ის, ჩემო კარგო, რომ მწევლჩიტა სულ მარტოდ დარჩა. მთელ დღეს ტირილში ატარებდა. ამ დროს ჩამოიარა ერთმა მწეველსმა. შენთდენა ბიჭი იქო. მხარ ზე კომბალი მოედო. სწორეთ ისეთი დალურსმული, შენ რომ გაქვს. დაღონებული მწევლჩიტა რომ დაინახა, ჰყითხა — აგრე რა გატირებსო. მწევლჩიტამ უამბო ბოროტ მელიას ამბავი.

— აბა, მიჩვენე და ნახავს ის სეირსაო! — უთხრა ჰატარა მწეველსმა.

მწევლჩიტა გამოუძღვა მწეველს და მელიასთან სწორედ მა- შინ ძიებანა, როცა წეული არსეინად წამოწოლილიერ და შეეზე თავის ძვილს ეალერსებოდა. მწეველსი ბიჭი მიეპარა, წაავლო კუდი სელი და ისე დონივრად ჩაარტეა კომბალი, რომ სულ კბილები ჩაამტკრია. მერე აზალ მისი წალდუნა, თავი მოსჭრა, მუცელი შეაზე გაუჭრა და მწევლჩიტას ამოუქ- ვანა საუფარელი ბარტეები. მწევლჩიტამ სიხარულით გულში ჩაიკრა ბარტეები, მწეველს მადლობა უთხრა და სულ სიძღერით გაფრინდა.

ჭირი იქ, და ლხინი აქა...

ახლა კი გულზე მოეძვა სანდოოს. სახე გაუბრწეინდა.

ଅଧିକାରୀଙ୍କୁ ଦାଖି ହେଲାଥିବା ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରୀ, ପାଦାଶ୍ଵରଙ୍କଣା ଓ ଅଭିଭାବକାରୀଙ୍କଣା  
ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରୀଙ୍କଣା:


— ଏହି, କୋଣାର୍କା, ଲାଜ କିମ୍ବା କିମ୍ବା? ଏହି ଦିନେ ମୁଁ ଯାଇବା,  
କାହା!

— କେବଳା?

ଲାଜ ପାଦାଶ୍ଵରଙ୍କଣା ଓ ପାଦାଶ୍ଵରଙ୍କଣା ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ତ୍ରୀଙ୍କଣା  
ପାଦାଶ୍ଵରଙ୍କଣା.

ଲେଖକ.





## ო ბ ი ბ ა



(ქართ ეკადის ზღაპარი)

უჩქარის შესერში ბევრი ღიდი სეგბი იურ ჩაუთლა  
ბული; მაგრამ სეგბი გადასჭრეს და კუნძებმა გამოიღო  
გრძელი და წვრილი ტიტელა ტოტები.

კუნძებს შორის ამოვიდა კურდღლის თათი, ტეის  
ოხრახუში და სხვა იმგვარი ბალახი, რომელიც ერთი შეო-  
რეს ისე ჰგავს, რომ ვინც გარგად არ იცნობს, ვერც კი გაარ-  
ჩევს.

ამ ბალახებს ტოტები თითქმის ისეთივე გრძელი ჟურნალი,  
როგორც ბუჩქებს, ამიტომ აბერტაფენობრენის და თავიც ისე  
მოჰქონდათ, ვითომ ნამდვილი ბუჩქები უოფილიურენენ. თითქოს  
უბრალო მაღლის ქინძასავით არ ჰქნებოდნენ უოველ შემოდ-  
გომაზე და პატარა მარცვლისბაზნ სელახლა არ ამოდიოდნენ  
გაზაფხულზე. ისე იასრებოდნენ და იპრანებოდნენ, ნაზად  
ირსებოდნენ ქარის ოდნავ წამობერვაზე, ისე მედიდურად იცვ-  
ლიდნენ ძველ ფოთლებს და ისხამდნენ ასლებს, თითქოს დიდი  
სხის სიცოცხლე დარჩენოდათ.

როცა ვინძე ჰქითხსავდა მათ ვინაობას, ან სირულიად არ  
აქცევდნენ უერადღებას, ან განვებ არ უასეუსებდნენ, ვითომ

ვერ გაიგესო; ან კიდევ თავს ისე უჩვენებდნენ თითქოს არ იცოდნენ რა მოელოდათ.

ბოლოს მოირთვებოდნენ შშვენიერი თეთრი უგავილებით. კოსტა და მსუბუქი ქოლგების მზგავსი უგავილები ამშვენება და მათ ტოტებს, იმ ღროს როცა კუნძულის ნამდვილ ტოტებაზე გრძელი უმნო კვირტების გარდა ვერ დაინახავდით ვერც ერთ უკავილს, ვერც ერთ ნაერთს.

— ოჟ, აქ ნამდვილი ტექა,—სიტევა ერთ სადამოს მინდვრის თავშემა, რომელიც ბალახში ჩამჯდარიერ და თავისი ნითელი თვალებით ზევით იხედებოდა.

— რა თქმა უნდა—ტექა,—გამოეხმაურა კურდღლის თათი.

— დაგვათვალიერე კარგად,—დაუშატა თხრახუშმა:

— და, თუ მოგეწონებით, შეგიძლია აქ ბუდე გაიკეთო. ისა-მარე უკელაფერი, რაც დაგვირდეს. ისე მოიქცე, როგორც სა-საკუთარ სახლი, ხუ დაგვერიდები.

მაგრამ ნამდვილმა ბუნებმა გააფრთხილეს თავი.

— ხუ ენდობი, მაგათ მხოლოდ ზაფხულში ბჭეთ დიდი გული. მაგრამ მოვა შემოდგომა და მათი სახსენებულიც გაქ-რება, კვალსაც არ დატოვებენ.

— რა არის ეს შემოდგომა, სწორეთ არ მესმის,—ჩაილა-შარაქა თხრახუშმა.

— მეც არა მწამს შემოდგომა,—ჩაერია ლაპარაკები კურდღ-ლის თათიც.

ეს მხოლოდ ზღაპარია, რომლითაც ბუნები თავის პატარა შეილებს ატეშებენ.

— სრულებითაც არა,—სიტევა თავშემა:—ეს სინამდვილეა. შემოდგომა მართლაც მოვა და ხელათ ზამთარიც მოჰყვება. მა-ნამდე კი საპუშნო უნდა აფავსო. კარგია, რომ მომავონეთ:

ამოფთხრი აქ ქვებ შეა ჰატარა სოროს და ზამთრისთვის წრუნავს მოგაგროვებ.

— არ შესძის — რა სასიამოვნოა მიწაში ცხოვრება, — სოჭვა თხრახუშმა.

— ჩვენ სულ მაღლა-მაღლა მივისწრავით, — წამოიძახა კურდღლის თათმა.

ცოტა სანს ორივე დაჩუმდნენ. ბოლოს ოხრახუშმა ამოითხრა და დაიწეო ლაბაზრავი იმაზე, რაც ორთავეს დიდი სანია ენატრებოდა.

— ეჭ, ნეტავი ჩიტი მოურინდებოდეს და ჩვენ ტოტებზე ბუდეს გაიკეთებდეს! — სოჭვა მან.

— ოჭ, როგორ მიუალერსებდით, როგორ დავიუბრავდით ჩვენი წვეროებით, ნაზად ვარწევდით. ჩვენთან ცხოვრება ისე მოეწონებოდა, რომ ნამდვილი ბუჩქები შერით დასტკებოდან, — დაუმატა კურდღლის თათმა.

— თუ გსურთ, მე ვიცხოვრებ თქვენთან? — გაისძა უცებ კილაცას სხა.

და მესერზე ამოფოფნდა რაღაც უცნაური, ნაცრის ფერი არსება.

— შენ ვინა ხარ? — ჰყითხა თხრახუშმა.

— მე ვარ დედალი თბობა, — უპასუნა ნაცრის ფერმა არსებამ.

— ფრენა იცი? — ჰყითხა კურდღლის თათმა.

— უკელალერი ვიცი, ცოტ-ცოტა უკელალერი, როცა დამტკირდება.

— კოდოებს სჭამ? — ჰყითხა თხრახუშმა.

— როგორ არა: ცისმარე დღეს.

— კვერცხებსაც სდებ? — ჰყითხა კურდღლის თათმა.



— დიდება შენ, ღმერთო: როგორ არა! — უპასუხა აბობაშ:

— მაშ ჩვენთვის შენ იგივე ჩიტი ხარ, — სოქება ახრახუშმა.

— გთხოვ მოძრმანდეთ, — მიიპატია კურდღლის თაომა.

— რა მსუბუქი ხარ, ერთი ტოტიც არ ხამიტედება.

— აბა, დაიწუ ჩქარა ბუდის კეთება, რა კი სურვილიც გაქვს, — უთხრა კურდღლის თაომა: — საჭირო მასალა ჩვენ მეუსერზე რამდენიც გნებავს იძოვება.

— არა უშავს, თუ ერთორ ფოთოლსაც მოგვტაცებ, — დაუმატა ახრახუშმა.

— დიდათ გმადლობო, მასალა თითონ მაქვს, — უპასუხა აბობაშ.

— რაღაც არ გეტეობა, რომ ტეჭირთი მოგქონდეს, — შენიშვნა კურდღლის თაომა. ოხრახუშმი კი შეეკითხა:

— იქნება ქმარი მოკიტანს რასმე?

— ქმარი მე არა მეავს, — მოუწერა სიტევა აბობაშ.

— ჰაწია შეიღები?

— ოჟ, ერთი მითხარით, გეთავება, რა ბედნიერებაა შვილუბა, ჰაწია, თვალის ჩინი შვილები, — წამოიძახა აბობაშ: — ჩვენ მაგისთანა სისულელე არ ვიცით. ბეჭერცხებს შესაფერ ადგილს ვსდებთ, მერე კი თავისი საქმე თვითონ იციან.

— ოჟ, არა გავს ეს როგორლაც ჩიტის ლაპარავს, — წარა მოსთქება დაფიქრებულმა ახრახუშმა.

— მეც ცოტა არ იუს ეძღვი მეტარება, — დაუმატა კურდღლის თაომა.

— რაც გნებავთ, ის იყიქრეთ ჩემზე, — სოქება აბობაშ.

— აძერად გეტევით მხოლოდ, რომ არ მინდა ჩვეულებრივ ფრინველებთან საქრთო რამ ვიქონით. თუ ისინი აქ ბლო მად არიან, მე ადარ დაურჩები.

— ღმერთმა დაგვიფროს,—საჩქაროდ უპასუხა ოხრახუშმა,  
ობობასაც შეეძინდა—ობობა არ გაგვექცისო.

— აქ ერთი ჩიტიც არ არის თითქმის.

— ახლა კი არა, როცა ხევბი გადასჭრეს, მაშინვე უველა  
ნი ტუქი გადაფრინდნენ,—გამოუცხად კურდღლის თათმა.

— დიახ, აქ ნამდვილი უდაბნოა, ერთ ხმას კერ გაიგონებ,—  
საცოდვათ შესხივლეს კუნძულის კრძელშა ტოტებმა.

მაგრამ ობობა სულ სხვა აზრისა იყო.

— პირიქით, აქ მშენიერებაა,—სოქვა მან:—ბუზები მეტად  
სასიამოვნოდ ბზუდან და კულს მისარებენ.

ოხრახუშმა და კურდღლის თათმა, ქება რომ გაიგონეს,  
ტანში გასწორდნენ და თავი ამავად ასწიეს.

ობობა კი ამ დროს ტოტიდან ტოტზე დაცოცავდა და  
მუდრო ადგილს ექვებდა. თავი მას თვალს არ აშორებდა და  
გულმოდგინეთ აკვირდებოდა.

— უკაცრზეად, გეთაევა,—სოქვა მან ბოლოს:—რისთვის  
აპირებ ბუდის გაკეთებას, თუ კიჩიცხებს თავის ანბარა  
სტოვებ.

— იცი, რა, ჩემო კბრივ,—უპასუხა ობობამ:—კთხოვ ისე  
მიუწოდ, როგორც სრულიად დამოუკიდებელ მწერს. მე მხო-  
ლოდ და მხოლოდ ჩემ თავზე კუთხირობ და კურუნავ. ახლა  
კი დროა საქმეს შეუდგმ.

— სჯობს სინათლეს დაუცადო,—ურჩია ოხრახუშმა.

— მაიც რისგან უნდა გააკეთო ბუდე?—უკვირდა კურდღ-  
ლის თათს.

— არა, ბნელაში მიუვარს მუშაობა, და ასამენებელი მასა-  
ლაც მაქვს,—სოქვა ობობამ. ამ სიტუაციით ის კურდღლის  
თათის წევერზე აცოცდა და მთისედუმოისედა.

— ქარგი თვებლებია საჭირო, რომ ამ საღამოს რამე დაინახო,—შენიშნა თაგვება:—ჩემ თვებლებს კატისა სად შეეძრება, მაგრამ სინათლები ბუდის გაყეთებას სწორებ არ მოვისურებები.

— რაც შეეხბა თვებლებს, მე რვა თვებლი მაქვს,—გამოაცხადა ობობამ:—და ქარგადაც ხედავენ, რაც ესაჭიროებათ. უკაციც რვა მაქვს. ამას იმისთვის გეუბნები, რომ იცოდე და არ გიკვირდეს. საზოგადოდ დაზეული გარემიერი სწორაფად გავაკეთო.



ეს რომ სოქვა, მიეპრა კურდღლის თათის შტოს, რომელზედაც იკადა, და სწორაფად ჩაფარდა ქვევით.

— ღმერთო ჩემთ, კისერს მოიტეხს,—და იწიფლა შემინებულმა თაგვება.

მაგრამ ობობამ ქვევიდან ამოსმახა:

— კისერი არა მაქვს, და რომც მქონდეს, არ მოვიტეხდი.

ამის შემდეგ თაგვი წავიდა, რადგან შინ ბევრი საქმე ჰქონდა.

კურდღლის თათი და ოხრახუში კი თავის ადგილს დარჩენა. დარჩენა აგრეთვე გრძელი ტოტები, რომლებიც ხეების კუნძებს ება.

ობობა მუშაობდა და იმისთმნა საოცარ საქმეს აკეთებდა, რომ მთელ ღამეს თვებლი არავის არ დაუხუჭავს, უკელა მას მისჩერებოდა. ელვის სისწორაფით დასტოდა ობობა კურდღლის თათის წვერიდან ქვევით, ტოტიდან ტოტზე გადადიოდა, აცოცდებოდა ზევით და უცრად ისევ დამვებოდა, და თუმცა ფრთები არ ჰქონდა, რასაც ადგილად ხედავთა უკელა, ეოველა

თვის მარჯვედ და მშეიღობინად აღწევდა შიწას, ან ამორა ჩეულ ტოტს და არ მომსდარა, რომ ნახტომი შეძლოდეს და იქ დაშვებულიერ, საცა არ იქო საჭირო. მთელი დაბეს ასე ტრიალებდა: სან ქვეყით, სან ზევით, სან იქით, სან აქეთ.

— ჩიტია ნამდვილი! — წამოიძახა გასარებულმა ოხრახუშმა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა კურდღლის თათი: — სხვა რა იქნება?

მაგრამ კუნძების ტოტებმა დაცინვით გააქნიეს თავი:

— სადაური ჩიტია? — ამბობდნენ ისინი:

— განა შეუძლია იგალობოს? აბა ერთხელ თუ გაგიგონიათ მისი ჭიკჭიკი.

კურდღლის თათმა და ოხრახუშმა გაკერივებით გადახედეს ერთმანეთს. რადგან ამ დროს ობობამ ერთი წუთით შესწუკიტა მუშაობა და ჩუმად იჯდა, ოხრახუშმა როგორც იქო გაუძედა და ჭეითხა:

— გალობა ხომ იცი?

— ფუი, — ზიზდით სთქვა ობობამ: — ნუ თუ გგონია ამისა თანა სისულელით შევიწუხო თავი. არა, ერთი მითხარი — რის გულისათვის უნდა ვიგალობო: მთელი სიცოცხლე შრომაში გადის, და განა ცოტა საქმე აქვს დედალ ობობას, რომ ფუნები გულზე დაიკრიფოს და ტეუილ-უბრალოდ დაკარგოს დრო?

ამ სიტუაციით ის სწრაფად ავარდა ჭაერში, მერე ისევ ქვევით ჩამოვარდა და დახტომდა ასე დაუსრულებლად.

გათენებისას ოხრახუშმი და კურდღლის თათი განცემურებისგან გაშეძლენ: ტოტებს შებ პირდაპირ ჭაერში ჩამოკიდებული ობობა დაინახეს: ფეხები შემოვკრიბა, მოკუნტული ეო და მკვდარივით ქმინა.

— შენ გაზის? — იყითხს კურდფლის თათქა.

— არა, — უბასუება თხრასუმშა: — განა შენ არ გაჰის?

— ଫର୍ମିରତର ପାଦପଟ୍ଟନାମ,— କିମ୍ବା ପୁରୁଷଙ୍କରିତାରେ ଯାହାରେ

— არე ჩვენ გვაძის, —ჩაერთოვნენ ტოტები.

— მაშ ჩიტი კოფილა! — აღტანებით წამოიძახეს კურდლ-ლის თამა და ოსრაზუმმა.

— ჩიტი ძილის ღროს ჭავერში არ ჩამოეკიდება, — სთქვეს  
ტოტებია.

— յև նամքոցու պարօտա, — բայիշ շրեւզը ուղարկելու: — Խորհրդացնելու, յարցած զատցենքունքներ; ոյնու մասն ջայունաւու, ռամու և անջախառուցունքներ; Հա ռուց միայն պարզութա, մարտանց զամունքներ պայմանագրութա.

ოსრახუძის და კურდღლის თათხ შეა მოგვალი წერილი  
ძაფები იქო გაბმული; შეეზე ძაფები საამურად ბრწეინავდნენ;  
შიგა და შიგ ძაფები ერთი შეორენს უფრო დიდი რეზლებით  
იქო გადახლიართელი.

— გება, — სითქეებ თავიშია: — ახლობ კი მესმის, ობობა მუამი  
იყდა, მაგრამ სად გაჰქირდა?

— აქა ვარ, — გამოსძინა თბობამ, რომელიც ფოთოლს ქვეშ  
შემძრალდიუ: — მნურვგლე მზეს ვერ ვიტან. ბაა, როგორ ძო-  
ბწონს ჩემი ნაძრობი, თუმცა ვერ არ დაპირავებია.

— ჸმ,—სოჭეა თაგებეა.—ძართალი გიოხოდ—ძალიან უცნაური ბუღე გაგიკეთებია.

— ბუდე, ბუდე! — გამოაჭავრა ობიბამ: — თქვენ სულ ბუდე  
გავერდით ჰირზე; მე თქვენისთანა არ გახლავარ. შენ ფიქრობ,  
შეც ისეთი საცოდავი, უმწეო ვარ, როგორც შენ და სხვები,  
მაგრამ სცდებით უკელანი. რად მინდა ბუდე? ამ ფოთოლის  
ქვემაც მშვენივრად ვგრძნობ თავს. აქ ჩრდილიც არის, სი-

პრილეც და მუდროებაც. მაყები კი ჩემი მახა. ამით ბუზჭბზ  
ვიჲერ. ნეტავი ერთი შხაბუნა წვიმა მოვიდოდეს; მაძინ ისევ  
შემებლება მუშაობა განვაგომო.

თითქოს ნატერა აუსრულდათ, მზე მაღა ამოფარა  
დრუბლებს; მოვიდა წენარი, პირდაბირი წვიმა, და როცა გა-  
დაიღო, ობობა კამოძვრა, სიამოვნებით გაისწორა თავისი  
რეა ფეხი ნოტიო ჰაერზე და ხელახლა შეუდგა მუშაობას.  
ეკელამ დაინახა, როგორ გამოუშება მუცლიდან გრძელი, წერი-  
ლი მაფები, შეასწორა საფარცხსლებით, რომელიც ფეხების ბო-  
ლოში ჰქონდა მოთავსებული, ერთ მსხვილ მაფად დართო და  
გააბა იქ, საღაც მისი აზრით მახეს ფართო ნახვრეტი ჰქონდა,  
ან საღაც თხელი მაფები იუთ წინად გაბმული. ზეთიანი მა-  
ფები ადგილად ეწებებოდა ერთი მეორეს და ბუზი უთუოდ  
უნდა გაბმულიერ შიგ. საღამოს მახე უკვე მზად იუთ და ისე-  
თი ლამასი გამოდგა, რომ უკელა განცვიურდა.

— ახლა უკელაფერი რიგზეა,—გამოაცხდა ობობამ.

სწორედ ამ დროს მოურინდა შოშია და გრძელი ტოტის  
წერზე ჩამოვდა.

— არის აქ რამე საჭმელი?—იკითხა მან?—მუსლუხა, ან  
ობობა?

ოხრახუშმა და კურდღლის თათმა სმა არ ამოიღეს. ისე  
შეემინდათ—ძღვმური არ დავკარგოთო, რომ ერთბაშად კინაღამ  
დაჲენენ. თაგვებაც სიფრთხილე არჩია და ჩუმად გამერა. სამა-  
გიეროდ ტოტები ახმაურდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლი-  
დნენ და სხაბა-სხუბით უამბობდნენ შოშიას, რომ საიდანდაც  
მობრძანდა მშენიერი, მსუქანი ობობა და სწორედ წინა და-  
მით ქსელიც გაიკეთა.

— სად არის მერე, რაღაც გერა ჟედავ, —ჩაილაპარაკებ  
შოშიამ და გაფრინდა.

— ობობამ კი, დაინახა თუ არა შოშია, წამსვე ჩამოეკიდა  
თავის გრძელ მაფზე, მიწაზე დაეშება და მკვდარივით ეპდო.

ახლა ისევ აცოცდა ზევით, ქსელის შეა ალაგას მოთხესდა, გაჭიმა ჟენელა რვა ფეხი და სთქა:

— აღვილი შესაძლებელი იქო საქმე ცუდად გათავებულიუო, მაგრამ ახლა ჩემი რიგი დადგა.

ამ დროს მოფრინდა პატია ლამაზი ბუზი, ქსელი ვერ შეამჩნია, გაქანებული კვეთა, შიგ გაეხვია და საცოდავად ჩამოეკიდა.

— სიყოთა! — სთქა ობობამ.

უკბინა ბუზს შეამიანი ბაკებით და წამსვე მოკლა, მერე შექამა. ასევე მოექცა სამ სხვა ბუზს, რომელიც შემდეგ გაებანენ ქსელში. მეტი ჭამა აღარ შეეძლო. წვრილი ბუზანება ლებს წვალებას უურადღებასაც აღად აქცევდა: მათი გულისთვის ადგილიდან არ იძროდა. სოლო როცა კიდევ მსუქანი დიდი ბუზი გაება, მაშინვე მოკლა, პატია ბადეში ჩააქსოვა და ქსელზე ჩამოჰქიდა.

— გამომაღება ოდესმე, როცა ცუდი დრო დადგება, — შენიშნა მან.



გველი იქო. მე ვფიქრობ, რომ ეს პატიოსნება არ არის.

— ჟყიქრობ? ნუ თუ? — დაცინებით უთხრა ობობამ: — რა თქმა უნდა: ჩემი ცხოვრება თქვენი მოსაწონი არ არის: თქვენ ხომ ასე არ მოიქცევით. შენ, რასაკეირველია, საუკირს უკრავ, რო-

— მალიან გონიერად სკი, — დაეთხნება თავი: — ეს პირებელი სიტემებია შენი, რომელზედაც შეძიმლია დაგეთხმისმი; რაც შევ- ხება დანარჩენს — გულახდილად გეტევი — არ მომწონს შენი უო- ფაქცევა. ჩემი აზრით შეტის- მეტი მუსანათი ხარ. აბა, რის- თვის ხმარობ შეამს? თითქოს



და მსხვერპლს ეპარები, არა, უწეინარო და პატიოსანო თას  
გვთ?

— დიდი სიამოუნებით დაუკრავდი, რომ მქონდეს,—სთქა  
თაგვმა:—მაღლობა დმერთს, ძენისთანა ონაფარი და სისხლის—  
მსმელი არა ვარ. მიმაქვს, რასაც ვნახავ: კაგალს, რკოს და სხვა  
ძისთანა რასმეს და არავის არას ვაგნებ.

— ჭო, შენ უძინეთ და უწეინარი არსება ხარ,—განაგრ  
ძობდა დაცინებას ობობა:—მხოლოდ იმით სარგებლობ, რაც  
სხვას რჩება, და ამით კამათუილდები. მერე მიღისარ შენ  
ბატარებთან, ეალურსები, ჰეოცნი; მე კი უნდა გითხრა—სულ  
სხვა კიძისა ვარ. ბლურის არაფრად მეპრიანება, მხოლოდ  
მადა კი მაქვს დიდი. მე მესაჭიროება ხორცი... ასალი, მსუ  
ჯინი ბუზის ხორცი და ბლომბა. არავის არაუერს ვთხოვ,  
თვითონ ვშოულობ, რაც მწირია. თუ კარგად ვცხოვრობ, ბა-  
რაქალა ჩემ თავს, თუ არა და—არც არავის უჩივი. ეჭ, კარგი  
იქნებოდა, რომ ჩემისთანა ქალები ბუზი იუს ქვევანაზე.

— მეტის-მეტი ბოროტი ხარ,—შენიშნა თაგვმა.

— სისულელეა,—სთქა თბობამ.—უკელანი ერთნაირი ვართ.  
აი, თუ გინდა ოხრახუში და კურდღლის თათი, განა რამდე-  
ნადაც გაეწეობათ არ სტაცებენ ერთმანეთს ჰეპელებსა და  
ფუტრებს, არ ფდილობენ წაართვან კაერი და სინათლე? თვით  
ადამიანიც კი არ დაზოგავს ბუზს, რომელიც მას ცხვირზე  
დააკდება.

— ადვილი შესაძლებელია ასეც იუთს,—სთქა თაგვმა:—  
მაგრამ შენი საქციელი მაინც ვერ არის მოსაწონი, ამასთან  
უშნო და მასინ ვი ხარ, რაღაც უმზადესი.

— ჟიჟ, მაშ ეგ არ მოგწონს,—გაცინა ობობამ:—აბა,  
ერთი კარგად შემომხედე, ჩემთ საეჭარელო თაგუნა, რა მო-  
სერსებულად ვარ ჩატელი: სადა, ნაცრის ვერი ტანსაცმელი  
არც მუშაობას მიძღის და არც მეტ ეურადღებს იპერობს.

თაგვემა თავი გააქნია და მოშორდა. ოხრახუმი და კურდ-  
ღლის თათი ერთმანეთს რაღაცას ეწურჩებოდნენ.

ობობა იყდა თავის მახეში და ბუზებს შეუტარდა.

როდა შექმ გამოახათა, ისევ ფოთოლს ქვემ შემცრა. ცოტა  
ტა ხანს შეძღვებ მოვარდა თაგვი და ზეგით აიხვდა.

— სძინავს? — იკითხა მან.

— უთუოდ, — უბასესა თხრახუმბა: — დაქენენ, კეთავეა, შენი ქბედობით არ გააღვიძო.

— ახლა ხომ ეს ჩვენი წიტია, — სოქება კურდღლის თათვა.— რა ვუკეთ, რომ სხვა ფრინველებსავით არ იქცევა, უკაველ შემთხვევაში ზატივი გვცა, რომ გვენდოდა ჩვენთან დასახლდა; ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, მასაც ზატივისცემით მოგეძცეთ.

— როგორ არა, ნამდვილი გამოსახული ჩიტია, — დასცონებს კუნძულის ტოტებშია.

— სულ პრეზიდენტს მაინც სჭობია, — სთქვა თხრისუმშა.

— ոծոսա, ու տվյալ պնդա, ինը առա, մաշրամ մասնց զառց  
գծ հաջը. մյ մշոնա յև և պայուղայու մյուրու-մյուրա քահայրու-  
լու ու ից յետ մոյալու զարտ զուերշնութ մուս ծյջնոյրութեանց.  
ոյ մյութ անց զանմարդուց ուղարկա, տանսդաւաճ պյուրու-  
զանուրութեանց ու ծուլուս յուզելու նաև, զյուղու շրմենութեան և ու-  
ռուսաց քայլերուցան. ուում մոյակյուրութեանց ու իմարտ յամունութեան.

— այլու, նո մոեցնեցը ծոգոյնք, — ամուսնու ռերակեղմա.

— მამინ შეიძლება ნამდვილი ბუღე გათევთოს და შეგ  
ჰაწაწინა კვერცხები ჩასდოს,—სთქვა კურდღლის თათმა.

— ქსნავე გავიცემოთ,—დაუბრუდა თავით:—ქმარს მოუ-

ძებნი. სრულიად დაწმუნებული ვარ, უფრო ღაშათიანი ტჭალია განვითარება, როცა ოჯახს გაიჩინს.

მეორე დღეს ნახადილენ თხრას უშესებ, დედალ ობობას ან ქარგა მომორებით, მართლაც დასკუპებულიერ კოსტა პატარა ტანის ობობა.

მან გაიწმინდა ზაწია თბოები და რამოდენიმე მაფი დართო, მსოდოდ იმისთვის, რომ თბეისი ხელობა ქნევებინა. შეიდი თვალი სიუვარულით უბრტევრიალებდა, ხოლო მერგე ფრთხილად უდარაკებდა, რომ დედალ ობობას არ ჩაეელა მათი ზარტონი,

— ნება მიბოძეთ, მშვენიერო ქალბატონო, მოგართვათ ძღვნად ჩემი გული, — სთვა ახალ მოსულმა.

დედალი ობობა როგორც უინული — ისე დაუსვედა.

— გამეცალე აქედან, — უთხრა მან.

მაგრამ პატარა ობობას შეშინება არც ასე ძღვილი იყო. გული გაიმაგრა და ახლა თრითვალით დაუწეო დარაკი, დანარჩენი ექვსი თვალით კი ისევ სიუვარულს გამოხატავდა.



— არ იყიქროთ, რომ მე თქვენი შეწუხება მინდოდეს, — ეუიცებოდა ის: — მე საკუთარი ქსელი მაქს მახლობელ მესერზე და ჩემთვის საუთუ ბუზებს სულ ადვილად ვიჰერ. სუთი მშვენიერი მსუქანი ბუზი ბადეში ჩაქსოვილი მეაგს და დიდ ბედნიერებად ჩასთვლი სუბლ დილით სუთივე მოგართვათ, თოლნდ კი დაწმუნდით, რომ მსოდოდ სიუვარული მწადიან თქვენგან.

— იუბეჭე, იუბედე, კიდევ წამოროშე რამე! — დასცინა ობობამ: — აბა რად მინდა შენიშთანა თხერი?

— ღმერთო შემიწუალე, — ჩაილაპარაგა პატარა ობობამ, და მსოდოდ კრთ თვალი უბეუტავდა სიუვარული, იმისთანა გააუფრებული სასე ჭირნდა დედალ ობობას.

— თუ არ ინტერესობთ ჩემი ცოლი გახდეთ, ახლავი გაბრიელი ვერ...  
ვერ...

— მეონიდა ასე აკობებს. ჩქარა გამეცალე იცოდე, თუ  
რემ...

ამის გაგონებაზე, ობობაშ შუცლიდან ძაფი გამოუშევა და უცემ დაემება დაბლა, დედალიც კვალდა-კვალ დაედევნა, მარტო კერ დაეწია და ერთი წუთის უკნ ისევ თბების მახები იყდა, შეოლოდ წინანდელზე უფრო მოღუმული იქ.

— ପାଇଁ ଶ୍ରୀନା କଥାରେ,— କିମ୍ବା ତଥାପିଲା.

გაწილებული ობობა კი ამ დროს დარბოდა თავის დო-  
ბეჭე და უამბობდა ეკელას მძველიერ, მიუკარებელ სატრიუქ-  
სესასებ, რომელმაც გააბა თვისი ქსელი კურდღლის თათხა  
და ოსრახუშს მუა.

ეჭვილა თვალებზე და ჰეტილი უბრებდა ეურს, კიდევ და კი-  
დევ ამეორებინებდნენ, და სულ მოკლე ხანში ტურფა და მიუ-  
დგომელ შეისუბნავ ობობას ამბავი მოქლ ღობეს მოედო.  
ეპერა ობობაშ მოისურვა შევენიერის ცოლად შერთვა და სა-  
თითაოდ გაემურნენ მისკან, მაგრამ ეპელას შავი დღე დადგია.

ბირველმა წაუდო სახუქრად ძესანიშნავი, მსუქანი ბუზი  
და უსირუკოდ დაუდო უსაბოთან.

მაგრამ ტურქა ისე დაუხვდა, რომ ობობა სწორედ არ  
ძოლდა.

მოხედვაც არ დააცალა, უცებ ებდღვნა და ჩაულაპა. ბუზს  
კერ ეურადღება არ მიაქცია, მაკრაბ ცოტა სანს შეძღვებ, რო-  
ცა ეგონა—არავინ უეურებდა, მაფს ჩამოჰევა ძირს და გემრიე-  
ლად მითოვდა.

არც შემდეგ მოსულ თბობებს დაადგიათ ბეჭნიური დღე.

ექვსი მათგანი მოლაპარაკების დროს ჩასანსღა, ორს ჰი-  
რის გადებაც მი დააცალა. ერთი მოიტაცა მოძიამ, სწორედ  
იმ დროს, როცა ის გაცნობას აპირებდა. მეორეს ისეთი თვა-

ლით შესედა, რომ საბრალო შიძით თხრილში ჩავარდა დაიღრჩიო.

მაგრამ მაინც არ შოეშენენ. კიდევ გამოხნდა სადღაც ერთი პატია, წერა წეტა, უმატვილი ობობა, რომელმაც გაიგონა თუ არა ამავი ტურიას ამაბავი, გადასწევიტა მისი ცოლად თხოვნა. სრულიად დაუმშეიღებულად მიძუოცებდა თავის რვა ფეხს; მორიას ხლოს მას მისაღებზენ უგელა



ობობები, რამდენიც მოიპოვებოდა მთელ ღობეზე. კუნძების ტოტები კისერს იგრძელებდნენ, რომ ერთხელ მაინც შეეხედათ ასეთი გმირისათვის. კურდღლის თათმა და ოხრახუშმა ეკელა ფოთლები გაისწორეს, უკელა უვაკილები ფართოდ გამდალეს, რომ გაეადვილებინათ ობობასთვის ქსელთან მისვლა. თავები მეტის-მეტი ყნობის-მოუგარეობით უკანა ფეხებზე შესდგა და უკრები აცემიტა.

თითონ დედალი ობობა კი ქსელზე ბრძანდებოდა და ისე დამშეიღებული იქთ, თითქოს კერაფერს ამჩნევსო.

— ბრწეინვალე ტურთვ,—ასე დაიწეო ახალმა საქმრომ:— მე გაფეხდნიერდი და მოვედი, რამ კეითხოთ—ინებებს თუ არა თქვენი ბრწეინვალება მე ქმრად წამიუჯანოს.

— မျှန်မျှကြေား,— ဦးဝင်္ဂီသရွှေ့၊ အပဲအပဲ။

მაგრამ გულში კი გაიფიქდა:—სხვებზე უფრო ეს მომწოდეთ. სხვებს მისი ცოლად წაეჭანა უნდოდათ, ეს კი ეხვეწებოდა—ქრისტიანულ უკუკლ შემთხვევაში ეს თავმდაბლობას და მწევრობელების დამოწებელა.

— კარგად მექმის, რომ ჩემი მსრით დიდი თავსელობაა  
ასეთი თხოვნა,—განაცროთ საქმრომ:—ან კი რა შესაღარია  
საწეალი მამალი თბობა დედლოთან და განსაკუთრებით ჩემის-  
თანა ლაშტირავი თქვენისთვის მშვენიერ და მთელ ღობეზე სა-  
სელგანთქმულ ქალბატონთან.

სა სიტუაციაზე დედალმა ობობაშ პირი მოიბრუნა და შესედა. მამალმა კველა რეა თვალი დახარა და შიძით კინბდომ გადაჟოტრიალდა. დასარჩენი ობობები ერთ წუთში გაიყანონა.

— ჩაელაპავს, ამასაც ჩაელაპავს,—შემძებირეს ოხრახუშმა და კურდფლის თათმა.

ମାୟରାମ ତୁମବେ ହୀନାରିବା.

დედალმა მოკლი ბუზი, ომელიც ის იქო მახვში გაება, არხეთინად მოთავსდა და ჭირი დაიწუო, თანაც ობობას უეურებდა.

უცებ სახწაული მოხდა, მან აიღო ბუზის ერთი ფეხი და  
საქმროს გადაუტო. ობიბას ენაზე კს თანხმობას ნიშნავდა.

— კარგი, — სთქებ მას როცხ ჭამა გაათავა: — მე თანასმა გარ, მხოლოდ მიურთხილები, არ გამაჟავო, თორებ შეგძლია!

— რაო, დასითხსმდა! — იძახოდა სისარულით დაწეტიანებული თაბაზი.

— დასთან ხმდა! — აპრიალუნ ქნ გაკეირვებული კუნძების ტორები.

ქორწილი მაძინათვე გადაისადგს, რაღაც ს სემლუ-  
ლი არავინ ჰეავდათ. ოხრასეუმა და კურდღლის თაობა სადღე-

სასწაულთ თავისი თეთრი უკავილებით მოჟყინეს გარეშემა. თაგვმა მოიგანა თავისი პატარები, რომ ამათაც გაეხარათ ბედნიერი საქმროს საცოლეს დანახვით. უკავილები აეღარუნდა სენ, მთვარე იდიმებოდა და ბილილმა ნახევარი საათით უკრო ადრე დაქმიტა თავისი ფოთლები.

საცოლემ შესწამა უკავა შენასული ბუზები, ისე რომ საქმროს ერთი ლუგმაც არ უთავაზა, მაგრამ ეს სრულებით არაფერს არ ნიმძვდა. საქმრო ცდილობდა, რაც შეიძლება უფრო თავებილებდ დაქმირა თავი. როცა საცოლემ ერთხელ აღერსით ზურგზე უქნი გადაუსვა, ისე ამაგდავდა, რომ უკალა კანა—შეიძით გათავდებათ.

მეორე დღეს თაგვი გათენებამდე უქნებე იუო.

— არ გინახავთ კერ ცოლაქმარი? — იკითხა მან.

— არა, — მიუგო ოხრასუმბა.

— სძინავთ კერ, — შენიშნა კურდღლის თათმა.

— აჭ, — სთქვა თაგვმა: — რა ბედნიერება, რომ ჩვენი ობობა მარტო აღარ არის. ახლა ნახავთ, როგორი მოსიუვარულე და თავაზიანი გახდება.

— როგორ ჰყიქრობ, არ დაიწევებს ახლა გაღლობას? — იკითხა კურდღლის თათმა.

— ახლა კერბოფერ სიკეთეს მოველი მისგან, — მიუგო თაგვმა.

— მართალია, როცა მას უკურებ—კერ იფიქრებ, რომ გალობა შეეძლოს. მაგრამ აი ნახავთ, როგორი კაბრწეინვებული გამოვა ჩვენთან. შესაძლებელია კერც კი ვიცნოთ.

თაგვმა გაიცინა. გაიცინეს ოხრასუმბა და კურდღლის თათმა. ამ დროს მზე ამოვიდა, შესქდა მათ და თითონაც გაეცინა.

როგორც იქ ფოთლებიდან ამოძვრა დედალი ობობა, გაიზმორა და დაბმტქნირა, მერე აცოცდა ქსელზე და ისე მოთავსდა, თითქოს არაფერი მომხდარი იყოს.

— სად არის თქვენი მეუღლე? — იკითხა თაგვება: — ნუ თუ კურ კიდევ არ ამდგარა.

— ამ დილით შეგვაძე, — უპასუხა თბობამ.

ამის გავონებაზე თაგვება ისე დაიწიფლა, რომ მთელი ღოუბე შეძრიუნდა.

ოხრახუშის და კურდღლის თათს ისეთი კანკალი დაბწევა ბინა, რომ ევავილები სულ ჩამოცვეივდათ. კუნძების ტოტებს ისეთი ტკაცანი გაჰქონდათ, გამოსილი საძინელი ქარბუქი ამოიჭრათ.

— ღმერთო დამიტარე, ღმერთო შემიწევალე, — უკირთადა გოუნება-დაკარგული თაგვი: — არა, გავონილა თავისი საკუთარი ქმარის შეწმა?

მთელ დღეს ღობეზე სამარისებური სიჩუმე სულევდა და არც დანარჩენ დღეები ემჩნეოდა მეტი მხიარულება.

თბობა გულმოდგინედ დარაჯობდა ქსელს, ჰელავდა გაბულ ბუსებს და წინამდელზე მომეტებულად სჭამდა, თანაც ისე გააფორცებული იყო, რომ ვერაცინ ვერ უბედავდა დალაპარა-კებას.

თაგვი თაფაქინდრული დახეტიალებდა ღობის მირში. მეტად დაანალელიბნა ამ აბავმა, და ისე დარღობდა, თითქოს მის საკუთარ თვასში მოხდა ეს უბედურება.

ოხრახუშმა და კურდღლის თათმა ქოლგები ჩამოუშვეს და სირცხვილით ტოტებს აღარ უურებდნენ.

— ძაგრძელ ერთხელ, როცა შეე-მხურებლედ უცხუნებდა დედამიწას, ოხრახუში თაგვის სოროსკენ დაისარა და წასჩურ-ჩულა:

— გამოდი ერთო, ჩემო თაგუნა.

— რომელი ხარ მანდ? — იკითხა თაგვება და ამოძერა.

— ჩვენ ვართ, მე და კურდღლის თათო. რაღაცა უნდა გვიოსოთ. შენ ხომ მალიბი ჰქვიანი ხარ. ერთი ეს გვითხარი,

როგორ გვინდა, ახლა რომ ობობამ კვერცხები დასძოს, განხილება თუ არა უფრო გეთიღი?

— არაფერიც არა მგონდა,—უპასუხა თაგვება.—არც ის მკონია, რომ მან ოდესმე დასძოს თუნდ ერთი კვერცხიც.

მაგრამ ეს მაინც მოხდა.

ერთ შევენიერ დღეს ობობა კვერცხების დებას შეუდგა. და ამას ისე აკეთებდა, რომ დობის მცხოვრებთ მოელ სიცოცხლები ასხოვდათ ეს ამბავი.

ობობამ დასძო ჰაწია გუნდი, რომელშიც ათი კვერცხი იუო. გვერდით ჩამოვდა და გაბრაზებული შესცეკეროდა.

— გაიკეთე ბუღე კვერცხების ჩასადებად,—ურჩია თხრას ხუმა.

— მიირთვი უკელაფერი, რაც მოგვეპოვება. დააკექ კვერცხებს და გამოჩეკე,—დაუმატა კურდღლის თათმა:—მზემ რომ არ მეგაწუხოს, ჩვენი ტოტებით დაგვიარავთ.

— როცა შვილებს გამოხექ, ბუზები დაუკირქ,—დაბრივა თაგვმა.

— კარგი იქნება გაღლობასაც ისწავლიდე, ჰატარების გასართობად,—სოქებს კუნძულების გრძელშა ტოტებმა.

— სისულელეა,—გააწევეტინა გეთიღ მრჩევლებს ლაპარაკი ობობამ.

— კვერცხებზე ვიზრუნებ სწორებდ, როგორ არა.

კიდევ ოთხი ისეთივე გუნდი დასძო, ცალ-ცალებე გახედა წმინდა, თხელ ჰარკებში, რომელიც საკუთარი მაფებისკან მოქალაქედა. მერე აიღო ერთი ჰარკი, ჩამოარბენინა ქვევით და მიწამი ჩაფლა. მერე ისევ ზევით აცოცდა, ჩამოათრია მეორე, შემდეგ მესამე და ასე—სანამ უკელა არ ჩამოალაგა.

— აჟა, მაღლობა ღმერთს, მორჩა, უკელაფერი გათავდა. ახლა ნიავსავით თავისუფალი ვარ.

მეორე დღეს ობობა გაჭრა.

— შოშიამ მოიტაცა,— ამბობდა თაგვი,— ჩემი თვალით კოჭის დროის  
სა, წამსკე გააქროლა.

— ხიფათში არ ჩაგარდეს,— სოჭეს ტოტებმა.— სიმართლე  
რომ კოჭეათ,— კერაფერი გემრიელი ლუქმა იქნება.

დადგა შემოდგომა და შემდეგ ზამთარი. თაგვი თავის  
თბილ სიოროში იჯდა. ობობას კვერცხებს მიწა ათბობდა და  
ზამთრის სუსსისგან იუპრავდა. კურდღლის თათი და ოხრახუში  
დაჰკნენ და სრულიად გაჭრენ. კუნძების ტოტებს ფოთოლი  
ჩამოცვივდათ, მაგრამ თუმცა ტიტეველი იუგნენ ქარიშხალის  
დროს, მაინც ხმაურობდნენ და გაზაფხულის მოლოდინში თოვლა  
სა და ეინვას უკრადდებას არ აქცივდნენ.

მაგიტა



## კუდა-კუდა არაკები

შესრულებული



ბელმა ფარიდან ბატქანი მოიტაცა დ დაბურულ ტუისაკენ გაჰქურცხლა. დაიღალა და სულის მოსათქმელად ბეკობზე თავი წასდო. უცებ, მიწიდან ამოძვრა, თუ ცილან ჩამოვარდა, გახნდა იქ დათვი.


— აქაა, კუდავ, მენ სასუსნევი გილოვნია.. აბა, მიბომე აქა!..

დააჭლო დათუნიამ ბატქანს კბილები და ბუნაგისაკენ არ ხეინად გასწია.

მექლმა მეტის სიმწირით კბილებიც კი დააკრატუნა, მაგრამ დათვთან შებმას აბა როგორ გაბედავდა?..

— ეჭ, ბატონო დათვო!..—მწარედ ამოიოხრა მექლმა,—რად მეურაცხმუავით ეგრე, რა უეავით სეინიდასი, როგორ არა გრცხვენიათ, რომ ძლიერმა სუსტი დამიბრიუეთ და უწეა-ლოდ გამძარცვეთ?!

ილ. გოგია





ՑՈՒՑԱԿԱՎԱՐ

ინჭრაქა ჰატარა ფრინველია, მაგრამ შხვობითა და  
მამაცობით ბევრ მასე უფროს ჩიტეს აყობებს. ბუღა  
ბუღები და ბევრი სხვა ფრინველები ჩვენთან შორ  
ლოდ გაზაფხულსა და ზაფხულში არიან, როცა ხეები და მინ  
დერები საამურად აუკავებულია, ცა—ნათელი და ლაქებრიდია.  
მაგრამ მოასლოვდება თე არა შემოდგომა დარი სუსტიანად  
დაჭიბერავს, ისინი საჩქაროდ შორეულ ქვეებისაკენ მიემგ ზაფ  
რებიან და თავიანთ დაცარიელებულ ბუღებს დიდი სწო  
ვებენ.

ჭინჭრაქა კი, ოც უნდა ცივი და სუსტიანი ზამთარი დღე  
გეს, მაინც ჩვენში რჩება. ამ ღროს ნიბლიები თბილ კუთხებს  
დაქმებენ, ხოლო ბეღურები თავს სახურავებ ქვეშ იფარავენ,  
ჩვენი ჭინჭრაქა კი მაშინაც ეოჩიღად და მსიარელად ტოტებსა  
და ღობებზე დახტის. მართალია ფრინვა კბრივად არ იცის,  
მაგრამ სამაგიეროდ საუცხოოდ დაცოცავს. ასალ გაზრდობის  
დანვე ქწვევა იყი მარდად ხტომას და ცოცვას, მოქნილად

სრიალს ტოტებსა და კელიან ბუჩქებში. კერც დედოფალზე, ვერც მელა, ვერც კატა ვაგლახსად ვერ წამოეწევიან.

ღამის სათევად ჭინჭრაქა თბილ ადგილს ირჩევს და ამის სათვის ზაფხულში რამდენიმე ბუდეს რევებს; მოხერხებულად სწავებს ბუდეს ხავსისა და პატარა ჩალებისაგან, აგვის შიგ მსუბუქ მატელს და ნახ ბუმბულს და ბუდე მრგვალ ბურთივით გამოჰქინის. მსოლოდ შიგ პატარა ჭინჭრულანას სტოვებს გამოსახულებად. ასეთ სახლში იგი თავის რამდენიმე ამსანაგთან ერთათ შედის, რომ ერთმანეთი კარგად გაათბონ.

დილიდან საღამომდის ჭინჭრაქა დაუღალავად შრომობს, ექვებს საზრდოს და იქ, საღაც სხვა ფრინველი გამსმარი ხის მეტს ვერაფერს ჰქედავს, საოცარი თვალ-მასვილობით საკუკებს ჰპოულობს. პატარა ტოტებიდგან ის ჰეპელების პეტრც ხებს ჰქენებავს, ხის კანის პაწაწინა ნახვეტებიდან დამაღულ წიებსა და მწერებს ამოსხიჩნის ხოლმე. ობობებს ჰქლაბავს, როცა იმათ გამსმარ უოთლებზე უდაბნოდელად სძინავთ; კოდოს, რომელსაც ქარისაგან ტოტის პატარა ნახვეტები თავი ამოუფარებია, ხისკარტის თავში ჩაუკაუჭნებს.

თუ ჭინჭრაქას ახლოს თოვლის გუნდი ან ეინული ჩამო ვარდა, ადგილად შეიძლება თავში მოხვდეს, პაწადა ჩიტი მარა დად მოტრიალდება, მსიარულად შესედავს იმ საგანს, რომელმაც სიმშვიდე ერთი წამით დაუფრთხო, კუდს მაღლა ასწევს და თორმეტვერ მაინც დაუკრავს თავს, თოტქოს მაღლობას ეუბნება, რომ მოწეალება მოიღო და თავი არ გაუტეხა.

# მიღება ხელი მონარქია 1917 ცლისათვაზ.

დასურათებ ული საყმაწვილო ეკრანილი

## „ნაკადული“ წერილი მეცამეტე.

გურიალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწყეულ სარედაქციო კომისიის ხელშეძლვან ელობით.

შემადიდები გამოყიდვის თავმავი ორგებობრივი

**24 წიგნი „ნაკადულისა“** 12 წიგნი „ნაკადულისა“  
შეცრე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადულისა“  
მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ შხატებითა ნახატი.

ფასი ეურიალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმით. თვის, ვინც ეურიალის რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 8 მან.—ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ეურიალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დღრესის გამოცემა დროზე შეგვატყობინონ. დღრესის გამოსაცვლელი—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მომარა მიიღება

თბილისში— „ნაკადული“ რედაქციაში, ზუბალი შვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამზერცვალებულებულ საზოგადოების წიგნის მთაზიაში, სისახლის ქუჩა; ქუთაის-ში—ისიდორე კვიცერიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრი-შეილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძესთან. ბათოში—ტრი-ფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. თელავში—განო პატარაშვილთან. ახალციხეში—კანს-ტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორ-ში—ქეოვეან ჯავახიშვილთან ჭინია ლომოურთან. ჭიათურაში—ივ. გომელურთან. ხონში—მ. ი. ჟავანიძესთან. მიხაილოვოში—გორგი ნაკადულიძესთან. აზურგეგიში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთ-ში ბაწივლებელ ჯულელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.